

დამტკიცებულია ქაუ-ს პრეზიდენტის
2014 წლის 6 ნოემბრის № 02-152 ბრძანებით

დანართი 1

უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების

წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ,, საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამივე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამას;

1.2. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;

1.3. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;

1.4. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2.1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

2.2. ბაკალავრიატში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში მხოლოდ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

2.4. მაგისტრანტობის კანდიდატი გადის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე (გასაუბრებაზე);

2.5 მაგისტრატურაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში მხოლოდ:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ დებულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით ;

2.6. დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

3.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა)აკადემიური შვებულება;

ბ)ავადმყოფობა;

გ)უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

დ)სამხედრო სავალდებულო სამსახური;

ე)ფინანსური დავალიანება;

ვ)პირადი განცხადება;

3.2. სტუდენტისათვის აკადემიური შვებულების მიცემა შესაძლებელია უცხო ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ან სასწავლო კურსის გავლის უფლების მოპოვების შემთხვევაში. სტუდენტის აკადემიური შვებულება ფორმდება ერთი ან ორი სასწავლო სემესტრით, მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია აკადემიური შვებულების გაგრძელება იმავე ვადით;

3.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, ავადმყოფობის შემთხვევაში, ხდება წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ხოლო სტუდენტის ფეხმძიმობის ან შვილის შექმნის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობის ან ბავშვის დაბადების მოწმობის ასლის საფუძველზე;

3.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი სამხედრო განყოფილების მიერ გაცემული გაწვევის დოკუმენტის საფუძველზე;

3.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, ფინანსური დავალიანების შემთხვევაში, ხდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით;

- 3.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება შეიძლება განხორციელდეს სხვა შემთხვევაშიც სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე;
- 3.7. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- 3.8. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პრეზიდენტს.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

4.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
 - ბ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
 - გ) სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ეთიკის კოდექსის დარღვევა;
- 4.2. სწავლების ნებისმიერი საფეხურის სტუდენტს უფლება აქვს უარი თქვას სწავლის გაგრძელებაზე და წერილობით მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- 4.3. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას გათვალისწინებულ დროში, უწყდება სტუდენტის სტატუსი;
- 4.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია პირის მიერ სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელების დროს, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, აგრეთვე აკადემიური დავალიანების დროს;
- 4.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- 4.6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

- 5.1. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა დადგენილი ფორმის დიპლომი სტანდარტული დანართით;
- 5.2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

რ. მაიკლ ქაუგილი
პრეზიდენტი